

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო სამსახური
შეხვედრის ოქმი N2**

14 სექტემბერი 2022 წელი

მიმდინარე წლის 14 სექტემბერს, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო სამსახურის შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ საკოორდინაციო საბჭოს წევრები, ცენტრის დირექტორის მოადგილე და სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების „51 მუხლის მე-10 პუნქტის“ შესაბამისად, შეხვედრას რუსულან სანაძე თავმჯდომარეობდა. საბჭოს სხდომა უზრუნველყოფილი იყო სინქრონული თარგმანით. საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ბატონმა ლაშა ზივზივაძემ წარუდგინა შეხვედრის დღის წესრიგი საკოორდინაციო საბჭოს წევრებს.

დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა ზივზივაძემ წარადგინა ცენტრის 2022 წლის სამოქმედო გეგმის ცვლილებების პაკეტი, ისაუბრა ინტერნაციონალიზაციის კუთხით განხორციელებულ ცვლილებებზე და სტრატეგიის შემუშავების წესში განხორციელებულ ცვლილებებზე. როგორც მან აღნიშნა, 2022 წლის სამოქმედო გეგმაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა და ამ თემაზე პრეზენტაცია წარმოადგინა, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი ცვლილებები. ცვლილებების შედეგად, სამოქმედო გეგმას დაემატა მიზანი 7 - „დანერგილია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები, რომლებიც ეროვნულ თავისებურებებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ითვალისწინებენ“ და აღნიშნა, რომ ცვლილება არა მარტო სამოქმედო გეგმაში, არამედ სტრატეგიაშიც შევიდოდა. ამასთან, ცვლილებები შეეხო დამტკიცებულ აქტივობებს. კერძოდ, დაზუსტდა აქტივობების ინდიკატორები, მტკიცებულებები, აქტივობების ფორმულირებები და განხორციელდა ტექნიკური ცვლილებები. მან ასევე აღნიშნა, რომ ცვლილებები აქტივობების შეფასების პროცესს უფრო მოქნილს გახდიდა.

ლაშა ზივზივაძემ ასევე აღნიშნა, რომ ტექნიკური ცვლილებები შევიდა სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების მონიტორინგისა და შეფასების წესში, დაზუსტდა სტრატეგიის დაგეგმვის, სამოქმედო გეგმის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ვადები.

მესამე პრეზენტაცია ეხებოდა ცენტრის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს, ზოგადი განათლების მიმართულებით. ლაშა ზივზივაძემ ისაუბრა ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულებით ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებზე და საკოორდინაციო საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციის „The Standing International Conference of Inspectorates (SICI)“-“ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონალური ინსპექტორების ასოციაცია” შესახებ.

როგორც მან აღნიშნა, ამ ორგანიზაციის მირითად მიმართულებას წარმოადგენს ზოგადი განათლება. მირითადი ამოცანა იყო, განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და აქტიური მონაწილეობისთვის ხელშეწყობა საერთაშორისო დებატებში განათლების მიმართულებით.

კახაბერ ერამემ აღნიშნა, რომ SICI-ში გაწევრიანებით მოსალოდნელი სარგებელი ხარჯებს აღემატებოდა. ცენტრი არ იყო არცერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ზოგადი განათლების მიმართულებით და ეს ამ მიმართულებით იქნებოდა პირველი წინ გადადგმული ნაბიჯი.

საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, ირმა ქურდამემ აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესო იყო ახალი მიზანი 7 და თქვა, რომ დადგა ის დრო, როცა ამ მიმართულებთ ნაბიჯები უნდა გადაიდგას. მან ასევე დაამატა, რომ ამ მიმართულებით ცენტრმა ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარა, საინტერესო იყო როგორ მიდიოდა ეს პროცესი და რეგისტრირდებოდნენ თუ არა სკოლამდელი დაწესებულებები, მან აღნიშნა რომ მისი ინფორმაციით წაკლები იყო უნარები აღნიშნული მიმართულებით და დასვა კითხვა, როგორ ართმევდა ცენტრი ამ ყველაფერს თავს, როგორ მიდიოდა რეგისტრაციის პროცესი და თუ შეიქმნა რაღაც გარკვეული სტატისტიკა ამ მიმართულებით. კახაბერ ერამემ კითხვის საპასუხოდ განმარტა, რომ გარდამავალ პერიოდში ბალების ავტორიზაციის ფუნქცია ცენტრს გადმოეცა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნინო ხითარიშვილმა აღნიშნა, რომ რეგისტრაციის პროცესი 1 ივლისს დაიწყო, უკვე 450-ზე მეტი დაწესებულება იყო რეგისტრირებული, უფრო მეტი აქტივობებით გამოირჩეოდნენ გაერთიანებები, რომლებიც სამოქმედო ტერიტორიებზე ბალებს არეგისტრირებდნენ, ხოლო შედარებით დაბალი აქტივობა იყო თბილისის ბალების და კერძო ბალების ნაწილში, როგორც მან აღნიშნა, დაბალი აქტივობის ერთ-ერთი მიზეზი სავარაუდოდ შვებულებების პერიოდი იყო. ამ მიმართულებით სექტემბრის ბოლოს იყო ბაზის შევსების მოლოდინი და აღნიშნა, რომ თუ სექტემბრის ბოლოს ისევ დაბალი აქტივობა იქნებოდა, ოქტომბრიდან დაიწყებდნენ უფრო აქტიურ საინფორმაციო კამპანიას.

შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა სტრატეგიის დოკუმენტში შესული ცვლილებებით, როგორც მან აღნიშნა მტკიცებულებებიდან ყველგან ამოღებული იყო ტრენინგმოდული და სამაგიეროდ შემოტანილი იყო სატრენინგო მასალები, მან ამასთან დაკავშირებით დასვა კითხვა, თუ რა ედო ამას საფუძვლად, ასევე დაინტერესდა SICI-ში გაწევრიანების შემთხვევაში საწევრო გადასახადის ოდენობით. საპასუხოდ, კახაბერ ერამემ აღნიშნა, რომ სატრენინგო მასალები თავის თავში მოიცავდა ტრენინგმოდულსაც და სხვა მასალებსაც, რომლებიც ტრენინგში იყო გამოყენებული. ეს იყო ცვლილებების მიზეზი. რაც შეეხება SICI-ის საწევროს, როგორც ლაშა ზივზივამემ აღნიშნა, ამ ორგანიზაციის ყოველწლიური საწევრო შენატანი 3,300 ევროს შეადგენდა.

რუსულადან სანამემ აღნიშნა, რომ ძალიან შთამბეჭდავი იყო ის დაგეგმარება და დროითი განაწილება, რომელსაც ცენტრი ახორციელებს ინტერნაციონალიზაციის კუთხით. მან ასევე იკითხა, როგორ შეიძლებოდა გაზიარებულიყო სარგებელი სხვა ინსტიტუციებში, რომ ყველას უგრძნო ეს პასუხისმგებლობა, ჩართულობა და რაიმე მამოტივირებელი სქემები, ან ტრენინგები ხომ არ იქნებოდა დაგეგმილი ამ პარტნიორობის ფარგლებში, ან ამ ნაწილში თუ იქნებოდნენ სხვა მონაწილე მხარეებიც ჩართულები. საპასუხოდ, ლაშა ზივზივამემ განმარტა, რომ SICI-ის წლის განმავლობაში დაგეგმილი ჰქონდა სხვადასხვა ღონისძიებები. როგორც მან აღნიშნა, ამ ყველაფრის გაზიარება, ან ჰიბრიდულ რეჟიმში, ან ადგილზე მოხდებოდა, ამ გადაწყვეტილებას ორგანიზაციასთან ერთად მიიღებდნენ. კახაბერ ერამემ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ჩართულობა და ინტერნაციონალიზაცია ემსახურებოდა ორ მიზანს, ერთი იყო, თვითონ ცენტრი როგორც ინსტიტუციის განვითარება და მეორე, სისტემური განვითარების საკითხები. როგორც მან აღნიშნა, საქართველოში არასოდეს არ ჩატარებულა ზოგადი განათლების სისტემის სისტემური კვლევა, ყველა სკოლა გადიოდა თვითშეფასების პროცესს ახალ სტანდარტებთან მიმართებით, სკოლების 80% დაფარული იყო და

წლის ბოლომდე სრულად დაიფარებოდა, მან ისიც აღნიშნა, რომ აქამდე ყველა ჩატარებული კვლევა იყო ფრაგმენტული. ასეთი მასშტაბური კვლევა პირველად ტარდებოდა საქართველოს ისტორიაში, როცა ყველაფერი ფასდებოდა. მან ასევე ისაუბრა სკოლების ავტორიზაციის საკითხზე, რომელიც მომავალი წლიდან მასშტაბურად დაიწყებოდა.

საბჭოს წევრმა, კაი ეთზოლდმა აღნიშნა, რომ სურდა ცენტრისთვის მიეღობა ახალი მიზნის დამატება. მან ასევე დაამატა, რომ სკოლამდელი აღზრდა მნიშვნელოვანი მიზანს წარმოადგენდა და ეს გერმანიაშიც კი დავიწყებული იყო, როდესაც პიზას შეფასების სისტემა იყო წარმოდგენილი. მან ცენტრს ასევე მიულოცა SICI-ის წევრობა და აღნიშნა, რომ ევროპაში საუკეთესოსგან რამეს სწავლა ძალიან მნიშვნელოვანია და ეს მომავალი განვითარებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მან ნინო ხითარიშვილს მიულოცა დეპარტამენტის ხელმძღვანელად დანიშვნა.

საკოორდინაციო საბჭომ, ხმების სრული უმრავლესობით მხარი დაუჭირა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმის ცვლილებების პაკეტს და SICI-ში გაწევრიანებას.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგის შესაბამისად, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა თამარ რატიანიძემ, საბჭოს წევრებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა და ვრცლად ისაუბრა განახლებულ სტანდარტებსა და პროცედურებზე, ასევე ისაუბრა თუ რა იყო აღნიშნული ცვლილებების მირითადი მიზანი და რა კონცეპტუალურ საკითხებს აერთიანებდა. მან აღნიშნა, რომ ცვლილებებს წინ უძლოდა საკანონმდებლო ცვლილებები, დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობით მომზადდა ცვლილებების პროექტი, ამ მიმართულებით შეხვდნენ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, საგანმანათლებლო რესურსცენტრებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. საკითხთან დაკავშირებით, კახაბერ ერამემ აღნიშნა, რომ ერთი რაზეც თანხმდებოდნენ, ეს იყო სრულიად მხარდამჭერი პროცესი, მეორე რაც ძალიან კარგი იყო - ეს ცვლილებები გამოწვეული იყო იმით, რომ მოქმედმა სტანდარტებმა უკვე ამოწურა საკუთარი თავი და ის სიხისტე, რომელიც აქამდე იყო უნდა შეცვლილიყო და განვითარებაზე გამხდარიყო ორიენტირებული. საქართველოს კონსტიტუციით სავალდებულო იყო ზოგადი განათლება. მან აღნიშნა, რომ საჯარო სკოლის დახურვა ავტორიზაციის გზით არ იყო გამოსავალი, ასევე აღნიშნა, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში საჯარო სკოლები საერთოდ არ ექვემდებარებოდნენ ავტორიზაციას, მაგრამ ჩვენმა კანონმდებლობამ დაადგინა, რომ ისინი ჩართულიყვნენ ამ პროცესში. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაცია უნდა ქცეულიყო განვითარების მექანიზმად.

კითხვა-პასუხის პანელზე, რუსუდან სანამემ აღნიშნა, რომ ბევრი ნიუანსი იყო წარმოდგენილი, მან ორ ნაწილად გაყო კითხვა, იყო თუ არა ამ სქემაში შეტანილი აპელაციის მექანიზმი. მეორე ნაწილი შეეხებოდა არსებულ მდგომარეობას. პირველი კითხვის საპასუხოდ, დირექტორის მოადგილემ უპასუხა, რომ აპელაციის საკითხი ისევ ძალაში რჩებოდა, როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლაში. მან აღნიშნა, რომ ცვლილებებში ჩადებული იყო სკოლის ინიციატივით მონიტორინგის შესაძლებლობა. პარალელურ რეჟიმში მიდიოდა სასკოლო რეფორმის ფართომასშტაბიანი ინტერვენცია და მათ

შორის იყო დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც გაითვალისწინებდა გაზრდილი ბონუსის დაფინანსების სისტემას სკოლის მუშაობის შედეგების შესაბამისად. შედეგები კი სწორედ სკოლის ავტორიზაციის მონიტორინგით შეფასდებოდა. შესაბამისად, თუ სკოლას ჰქონდა სურვილი, რომ გაზრდილი დაფინანსება მიეღო, მას ექნებოდა შესაძლებლობა არ დალოდებოდა 6 წლის გასვლას და საკუთარი ინიციატივით მიემართა ცენტრისთვის, განეახლებინა შედეგები და ჰქონოდა წვდომა ახალ რესურსებზე. რაც შეეხებოდა არსებულ სიტუაციას, მომავალი წლისთვის შესაფასებლად შეირჩეოდა თავდაპირველად 500 საჯარო სკოლა და საბოლოოდ გადაწყდა, რომ შეფასდებოდა 402 სკოლა. ეს ის სკოლებია, სადაც ყველაზე მაღალი მზაობა იყო, მათ შორის ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. სტანდარტებთან მიმართებაში საჯარო სკოლების შემთხვევაში არ იქნებოდა გამონაკლისები. ეს იყო გამოწვევა, თუმცა, 2026 წლისთვის უნდა დასრულებულიყო ავტორიზაციის პროცესი. ეს ნიშნავდა, რომ სისტემას 2026 წლის სექტემბრამდე ჰქონდა დრო. პარალელურ რეჟიმში მიღიოდა სკოლების შეფასების პროცესი. სკოლების ნაწილი ჰიბრიდულად აგრძელებდა მუშაობას და ნაწილი სხვა სკოლაში აგრძელებდა სწავლის პროცესს, რადგან ამ სკოლების რეაბილიტაცია დაწყებული იყო. ცენტრის მხრიდან კომპრომისი არ იქნებოდა, სკოლა უნდა ფუნქციონირებდეს სრული მასშტაბით. ცენტრი მუშაობდა სასკოლო ნუტრიციის ინიციატივებზე. სკოლის ინფრასტრუქტურის პროექტში, რომელიც მსოფლიო ბანკის ფარგლებში შემუშავდა გათვალისწინებული იქნებოდა სამზარეულოებისა და სასადილოების ინფრასტრუქტურა. პროცესი ძალიან მასშტაბურია. ავტორიზაციის პროცესი უნდა გამხდარიყო ყველა რეფორმის მამოძრავებელი ძალა. საკოორდინაციო საბჭოს წევრმა ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ ცენტრი და სამინისტრო პოლისტურად უდგებოდა საკითხს და ეს დასაფასებელი იყო. აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო ის ფაქტი, რომ სკოლები ქმნიდნენ კურიკულუმებს და ყველა სკოლა თავის ნიშას წარმოადგენდა. მან იკითხა თუ როგორ შეირჩა ის სკოლები, რომლებიც პირველ ეტაპზე გაივლიდნენ ავტორიზაციას. საპასუხოდ კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ ცენტრი შესაფასებელი ჰქონდა 2084 სკოლა, თუმცა, შერჩევის პროცესში ამ ეტაპზე გაითვალისწინა შინაარსობრივი ნაწილი, დანერგილი ჰქონდა თუ არა სკოლას ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა. შერჩევისას, მეორე საკითხი იყო ინფრასტრუქტურული მზაობა. შინაარსობრივ ნაწილში შერჩეული სკოლების სია გადაიგზავნა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში და მათ დაფილტრეს სკოლები შესაბამისი ინფრასტრუქტურული მზაობის მიხედვით. მესამე საკითხი იყო სკოლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების არსებობა, მათ შორის, პროექტორები, ინტერნეტი, კომპიუტერები და სხვა. მეოთხე ფილტრი იყო სკოლების თვითშეფასება. გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, გაითვალისწინეს სხვა სტანდარტებთან შესაბამისობა. შესაბამისად, შეირჩა 402 საჯარო სკოლა. წლის ბოლომდე ამ სკოლებში მხარდამჭერი ღონისძიებებისთვის განაცხადის მოსამზადებლად მიავლენდნენ ექსპერტებს. ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, რომ მისი ვარაუდით ეს სკოლები გაივლიდნენ თვითშეფასების პროცესს. ასეთი სკოლები იყვნენ მთელი საქართველოს მასშტაბით. ფაქტიურად არ იყო რეგიონი, სადაც ერთი, ან ორი სკოლა არ შესულა ამ სიაში.

კითხვა - პასუხის დასრულების შემდეგ საბჭომ კენჭი უყარა საკითხს და მიიღო ცვლილებები.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგის შესაბამისად, მომდევნო პრეზენტაციაზე ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერმა გიორგი გვასალიამ წარმოადგინა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების დოკუმენტი. მან მიმოიხილა ცენტრისთვის დოკუმენტის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ პოლიტიკის დოკუმენტი ცენტრში ძირითადი პროცესების მაკონტრდინირებელი და გამაერთიანებელია. ასევე წარადგინა მიზნები, რეგულირების სფერო სტრუქტურული ერთეულების ჩათვლით და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. შედეგად, პოლიტიკის დოკუმენტის საშუალებით ბიზნესპროცესები იქნებოდა მართვადი და მოსალოდნელი რისკები იქნებოდა იდენტიფიცირებული. მან აღნიშნა, რომ დოკუმენტში სამოქმედო გეგმის შესაბამისად წარმოდგენილი იყო ინდიკატორები, რომლებიც დამტკიცებული დოკუმენტებია. ასევე, გაწერილი იყო გადახედვის წესიც და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის ფუნქციები. გავრცელების სფეროს შესაბამისად, შედგებოდა საორგანიზაციო საბჭო, რომელიც იღებდა სხვადასხვა გადაწყვეტილებებს და ინიცირებას აკეთებდა დირექტორთან რომელიც საბოლოო ფორმით იქნებოდა წარმოდგენილი. სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულებაზე გარკვეულწილად პასუხისმგებელია საბჭო. საკოორდინაციო საბჭოსთან შესათანხმებელი ამ ეტაპზე მხოლოდ პოლიტიკის დოკუმენტი იყო, რომელიც პრეზენტაციაში წარმოადგინა. პოლიტიკის დოკუმენტზე შენიშვნები და უკუკავშირი მნიშვნელოვანი იყო.

კითხვა-პასუხის ეტაპზე, რუსუდან სანამემ იკითხა გარე მონაწილე მხარეებთან დამატებითი პროცედურული მოთხოვნა ხომ არ იქნებოდა, მაგალითად ინფორმაციის გაუვრცელებლობის შესახებ. კომპეტენციის შესაბამისად, გიორგი გვასალიამ განმარტა, რომ ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის ეტაპზე განისაზღვრა გარე დაინტერესებული პირების იდენტიფიცირება, მათი მოლოდინების განსაზღვრა და ამის შედეგად ანალიზის დოკუმენტის მომზადება, სადაც ყველაფერი ერთად იქნებოდა თავმოყრილი. სტრუქტურული ერთეულების მიერ განისაზღვრა გარე დაინტერესებული მხარეები. ამის საფუძველზე, კითხვარის საშუალებით მიიღეს ინფორმაცია. გაირკვა, რომ ცნობიერების ამაღლების კუთხით, სასურველი იყო ტრენინგების ჩატარება, მან აღინიშნა, რომ არ ჰყავდათ ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები. ასევე აღნიშნა, რომ გავრცელების არეალი შემოსაზღვრული იყო და ეხებოდა მხოლოდ ცენტრს და მის მიღმა, მაგალითად სკოლებში და სხვა დაწესებულებებში ვერ ხდებოდა კონტროლი და დახმარება. მოცემული მდგომარეობით, კითხვარის შედეგების საფუძველზე შესაძლებელი იყო იმის თქმა, რომ რომ მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა, ან არ ჰქონდათ შესაბამის ცოდნა, რომ ეს საკითხი დაეიდენტიფიცირებინათ. რუსუდან სანამემ დააზუსტა, რომ კითხვაში გულისხმობდა ქცევის ნორმებს სხვა პირისთვის, რომელიც დარეგულირებული უნდა ყოფილიყო, რამდენად განსაზღვრული იყო ინფორმაციული უსაფრთხოების ჭრილში. ამის პასუხად გიორგი გვასალიამ განმარტა, რომ არსებობდა მომხმარებლის წესი, სადაც გაწერილი იყო კადრის დასაქმებიდან გათავისუფლების მომენტამდე და მის შემდეგ როგორ უნდა მოპყრობოდა აქტივებს. პოლიტიკის დოკუმენტში კი ზოგადად იყო ეს საკითხი წარმოდგენილი, დამხმარე პოლიტიკის დოკუმენტები კი ცენტრში არსებობდა და ფუნქციონირებდა.

კითხვა - პასუხის მხარდაჭერის შემდეგ საბჭომ დოკუმენტს მხარი დაუჭირა.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგის შესაბამისად, ნიკოლოზ ფარჯანაძემ უმაღლესი განათლების მიმართულებით წარადგინა შემდეგი პრეზენტაციები: ცვლილება „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესში“, ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესში“, „კლასტერული აკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობისა და დანერგვის შესახებ საკითხების/აქტივობების მიმოხილვა“. მან აღნიშნა, რომ 2022 წელს უმაღლესი განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა და სწორედ ამან გამოიწვია აღნიშნული წესების ცვლილებებიც.

„ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის ცვლილების შემდეგ, დოკუმენტი არეგულირებდა მხოლოდ უმაღლესი განათლების სივრცეს, ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის პროცესს საქართველოს კონტექსტში. ცვლილებები ეხებოდა და დაეფუძნა წინარე ცოდნას, ანალიზს და გამოცდილებას. დოკუმენტი წარუდგინეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და მათი უკუკავშირი გაითვალისწინეს. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სავალდებულო ეტაპად განისაზღვრა ექსპერტების მიერ თემატური ტრენინგების გავლა. ცენტრისთვის მნიშვნელოვანი იყო ექსპერტების ცოდნის და კომპეტენციის გაძლიერება. ასევე, ცვლილების შედეგად დაზუსტდა ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა მოძიების პროცედურა. ENQA-ს და ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა სააგენტოების ჩართულობით ხდებოდა ექსპერტების მოძიება. მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტი იცნობდეს საერთაშორისო პრაქტიკას, ეს აამაღლებდა პროგრამების შეფასების ხარისხს. ასევე, ექსპერტების მოძიების საკითხში მნიშვნელოვანი იყო მუდმივმოქმედი კომისიის განსაზღვრა. ცენტრს მუდმივად სჭირდებოდა ექსპერტთა კორპუსის კვალიფიციური ექსპერტებით განახლება. შესაბამისად, ასეთი ტიპის კომისიის არსებობა ცენტრისთვის მნიშვნელოვანი იყო.

ცვლილებების შედეგად ცენტრმა წინ წამოწია სტუდენტ ექსპერტის როლი, რადგან მნიშვნელოვანი იყო სტუდენტის პერსპექტივის წარმოჩენა. ნათლად და მკაფიოდ განისაზღვრა თუ რა როლი აქვს სტუდენტ ექსპერტს პროცესში. ასევე, სტუდენტური სტატუსის შეწყვეტის შედეგად მას ჰქონდა შესაძლებლობა ერთი წლის განმავლობაში პროცესში ყოფილიყო ჩართული.

შემდგომი ცვლილება ეხებოდა ექსპერტთა ანაზღაურების წესს. ცვლილებების შედეგად განისაზღვრა სხვადასხვა ტიპის ანაზღაურება რეგულირებადი და არარეგულირებადი პროგრამებისთვის. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ექსპერტის შესაბამისად, ცალკეული რეგულაციის შესაბამისად ხდებოდა ანაზღაურება.

ნიკოლოზ ფარჯანაძემ ასევე მიმოიხილა კლასტერული აკრედიტაციის პროცესის ძირითადი ცვლილებები, სტუდენტების ზღვრული ოდენობების, ფორმალურ კონსულტაციასთან დაკავშირებით. კონსულტაცია ეხებოდა კანონმდებლობას, პროცედურებს, სტანდარტებს, მიდგომებს. კონსულტაციები არ ეხება პროგრამების შინაარსს. კითხვა-პასუხის რეჟიმზე საკონრდინაციო საბჭოს წევრმა ირმა ქურდამებ დასაზუსტებლად იკითხა, სტუდენტს და ხარისხის ექსპერტს ჰქონდათ თუ არა თანაბარი ანაზღაურება. ნიკოლოზ ფარჯანაძემ განმარტა, რომ ცენტრში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობდა. დარგის ექსპერტის და დამსაქმებლის შესასრულებელი სამუშაო იყო გაცილებით მეტი, რადგან ცალკეულ პროგრამასთან მიმართებით, სილაბუსების დონეზე უნდა მომხდარიყო კონკრეტული საკითხების ანალიზი.

მომდევნო შეკითხვა საკონრდინაციო საბჭოს წევრმა მაკა აბულაძემ იმის შესახებ დასვა, თუ არსებობდა წესი ექსპერტთა კორპუსიდან კონკრეტული ექსპერტების გადანაწილების ავტორიზაცია აკრედიტაციის პროცესში და იყო თუ არა ექსპერტთა კორპუსის ყველა წევრი დატვირთული. საპასუხოდ, ნიკოლოზ ფარჯანაძემ განმარტა, რომ ცენტრს ჰქონდა ზოგადი პრინციპი, რომ თანაბრად დატვირთულიყო ყველა ექსპერტი. ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის დაკომპლექტება ცალკე ხდებოდა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის ცალკე. მოცულობის გადანაწილებასთან დაკავშირებით, კი განმარტა, რომ მთავარი პრინციპი იყო ის, რომ ექსპერტები ცენტრთან თანამშრომლობენ ნებაყოფლობით და სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით თანხმდებოდნენ ცენტრს კონკრეტულ შეფასებაში ჩართულიყვნენ. შესაბამისად, ცენტრი კი ცდილობდა თანაბრად დაეტვირთა ექსპერტი, მაგრამ პრაქტიკაში ეს თანაბარი არ იყო, ზოგიერთი ექსპერტი ინტენსიურად თანხმდებოდა, ზოგი ნაკლებად. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკვირდებოდა ამ პროცესს, ხშირად ხდებოდა სიის გადახალისება. მაკა აბულაძემ დასაზუსტებლად იკითხა, იგეგმებოდა თუ არა სტანდარტის შემუშავება, რომელიც ყველა ექსპერტს მისცემდა შესაძლებლობას საკუთარი უფლებამოსილება განახორციელებინა. ნიკოლოზ ფარჯანაძემ განმარტა, რომ როდესაც სამსახურის თანამშრომელი გეგმავდა ვიზიტს, ინტენსიური კომუნიკაცია ჰქონდა სამსახურის ხელმძღვანელობასთან. ისინი მონიტორინგს უწევდნენ პროცესს, რომ არ მომხდარიყო ხშირად ერთი და იგივე ექსპერტის ჩართვა ხშირად შეფასების პროცესში. ამასთან, ხდებოდა ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება, როგორიცაა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა, დაწესებულებებთან ექსპერტების თანამშრომლობა და ა.შ. მან აღნიშნა, რომ შეკითხვის არსი მისაღები იყო, პროცესში ცენტრი ცდილობდა ყველა დეტალის გათვალისწინებას.

დისკუსიის დასრულების შემდეგ, საკონრდინაციო საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი და საბჭომ ცვლილებებს მხარი დაუჭირა.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარე:

რუსულან სანაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი



საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე სხდომის მდივანი:

მაკა აზულაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წარმომადგენელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი



დანართი 1

საკორდინაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს შემდგა წევრები:
ა) რუსუდან სანამძე - საიპ - ოვანე ჯავახიშვილის სახელმისამართის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის განათლების მუნიციპალური დეპარტამენტის ხელმძღვანელი. უმაღლესი საგანმანათლებლო პროფესიული ექსპერტი; საკორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე;
ბ) კაი ექტონლდი - უმაღლესი განათლების სფეროს საქრთაშორისო ექსპერტი;
გ) ზალვა მუკრავიშვილი - რუსთავის მე-2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მაწავლებელი;
დ) მაკა აჩულაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წარმომადგენელი, საიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოკტორანტი;
ე) ირმა ქურდაძე - საიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ვ) ზარა ფურცელაძე - ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში;
ზ) ანასტასია ქეტლაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;
საკორდინაციო საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ:
ა) ჰელი მატიუნი - ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (EKKA) დირექტორი;
გ) ნათა ჯოჯუა - გვპ „ეკოლოგიური უნივერსიტეტის“ პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის დეპარტამენტი;
გ) მაია შეხეოფელი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების სამსართველოს უფროსი;
დ) თეა გულეა - გაერთის განვითარების პროფესიული განათლების სპეციალისტი, პროფესიული განათლების ექსპერტი.
ე) ჰანახერ ჭულაძე - საიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალი სამედიცინო ტექნიკური განვითარების სამინისტრის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

დანართი 2 საბჭოს შეხვედრის დღის წესრიგი:

			პაზიცია, ორგანიზაცია
დრო	განსახილებული საკითხი	მომსახურებული	
15:00-15:10	გისალმება	თამარ მახარაშვილი კახაბერ ერაძე	დორშტერი, სიახ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი დორშტერის მთადგილე, საია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
15:10-15:25	საია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმის ცვლილებები	ლაშა ზიგზავებე	დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სიახ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
15:25-15:35	სია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მოიცავონგისა და შეფასების წესში ცვლილებები	ლაშა ზიგზავებე	დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სიახ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
15:35-15:45	ზოგადი განათლების მომართებებით ინტერნაციონალურავის შესაძლებლობა - The Standing International Conference of Inspectorates (SICI)	ლაშა ზიგზავებე	დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სიახ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
15:45-16:00		კომისა-პასუხი	

16:00-16:15	“ოუგადისაგანმანათლებლო დაწესებულების აცტერიზაციის სტანდარტების პროექტის წარდგენა	თამარ რატიანაძე	ზოგადი განთვალების ხარისხის უზრუნველყოფის საშახურის კოლორიდინატური, სასა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
16:15-16:30		კოთხვა-პასუხი	
16:30-16:45	სიიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ანფორმაციული უსაფრთხოების პალიტიკის დოკუმენტის გამიღება	გიორგი გვასალა	ინფორმაციული უსაფრთხოების მენცხარი, განსათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სასა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
16:45-16:55		კოთხვა-პასუხი	
16:55-17:15	ცელილება „აცტერიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტული შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შემცველის წესში ცელილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პრფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვესტერნტა კორპუსის წევრების წევრების წევრების შემაღლების უფროსი, სასა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ნიკოლოზ ფარჯანაძე	
17:15-17:25		კოთხვა-პასუხი	
17:25-17:30		სალუჩინ შესახულის შეჯამება	